ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3825511

ნომერი: AR1573140

თარიღი : 26.01.2018

გაცემის თარიღი : 19.02.2018

გაცნობის თარიღი : 19.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გამრეკელი , N 23 , მიმდებარედ ნაკვეთი 25/162;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქამუშაძე პ/ნ 01030028695
- თბილისი, არჩილ ქურდიანის ქ. #19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 26 იანვარს №AR1573140 განცხადებით მომართა ალქსანდრე ქამუშაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი ვაკე), გამრეკელის ქუჩაზე №23-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.02.025.162), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3601131 და 2018 წლის 17 იანვრის №3782343 ბრძანებებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად 162.7 კვ.მ-ის ნაცვლად 162.70 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 766.46 კვ.მ-ის ნაცვლად 809.45 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 72.39 კვ.მ-ის ნაცვლად 100.12 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 1112.55 კვ.მ-ის ნაცვლად 1183.27 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შეცვლილია გეგმები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას.
კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად განაცხადი შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) შესაბამისი ნომენკლატურით, რის შემდეგაც პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას PDF ფაილის სახით. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწვეტილებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7)) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.